მიუღებელი ჩვენი სინამდვილისათვის.
რუბრიკაში შევეცდები, მოვიყვებ
ამერიკული მედიცინისა და სამედიცინო
განათლების თავისებურებებზე,
გზადაგზა შევადაროთ ისინი ქართულ
სინამდვილეს; ვისაუბრებ სხვადასხვა
დაავადებებზე, მათ პროფილაქტიკასა და
მკურნალობაზე. ასევე მინდა,
მოგაწოდოთ ინფორმაცია მსოფლიო
მედიცინის უახლესი მიღწევების შესახებ.
მომავალში შეიძლება თქვენი წერილების
საფუძველზე ჩავატაროთ დისკუსიები
სამედიცინო ეთიკის საკითხებზე, ექიმის
პასუხისმგებლობებზე, ავადმყოფის
უფლებებზე ჩვენს სინამდვილეში და
აგრეთვე მოგაწოდოთ პრაქტიკული
დასმულ კითხვებზე გავრცელებული
დაავადებების შესახებ.


მამ ასე, ხელმადე!

ხვალდაც ყოველ სამუშაოს - რუბრიკა "მედიცინა - მარტივი და გასაგები"

პატივცემულო მკითხველო,

მე გახლავართ გიორგი მიქელაძე,
ვცხოვრობ ამერიკის შეერთებულ
შტატებში 1993 წლიდან, ემუშაობ ექიმად.
მანამდე ემუშაობდი თბილისში. 1980
წელს დავამთავრე თბილისის სამედიცინო
ინსტიტუტი.

რუბრიკაში დამარცხებულია. თასი რვენი!



რობერტ ჰენსენი

ამ moles, ანუ "თხუნელების" სა-
ხელები დღეს საყოველთაოდ
ცნობილი და ყვადღებულა. ესე-
ნი არიან ოლდრიჩ ეიმსი (ცსს) და
რობერტ ჰენსენი (დფბ). ვაშინგ-
ტონიდან მოსკოვში დაბრუნებუ-
ლი ჩერკაშინი განაგრძობდა ამე-
რიკული სადაზვერვო სამსახურე-
ბის ძირის "თხრას". მას მიყავდა

ლებით არის მოთხრობილი ჰენსე-
ნის მუშაობის შესახებ, რომელიც
პირისპირ არასდროს ხედებოდა
თავის პატრონებს და მათთვის
ინფორმაციას სპეციალურად შე-
თანხმებულ სამალავებში ტოვებ-
და. უფრო მეტიც, სუკ-მა არც კი
იცოდა, რომ "თხუნელა" სწორედ
ჰენსენია! ეს იყო უნიკალური,

სამშობლომ დიდად
დააფასა ვიქტორ ჩერკა-
შინის მოღვაწეობა. ცსს-ს
ძირგამოთხრელი მუშა-
ობისთვის იგი ლენინის
ორდენით დაჯილდოვდა
(მე არ ვიყავი მუზეუმში
ლანჩზე და არ ვიცი ჩერ-
კაშინის პიჯაკის ლაქა-
ნზე ბრწყინავდა თუ არა
ეს მედალი. მაგარი იქნე-
ბოდა, თუ ბრწყინავდა!).
ახლა ჩერკაშინი მოსკოვ-
ში ხელმძღვანელობს
ერთ-ერთ კომპანიას,
რომელიც "უსაფრთხოე-
ბით ვაჭრობს". ჩვენი
დროის პარადოქსია: იმ
გარემოებაში, რომ ცალ-
კეული, ჩერკაშინის მსგა-
ვსი წარმატებების მიუ-
ხედავად, საბჭოთა კავ-
შირმა წააგო "ცივი ომი",
საშუალება მისცა ჩერკა-
შინს ჩამოსულიყო ვაშინ-
გტონში, აშშ-ში გამოეცა
თავისი ნიგნ და ეჩუქე-
ბინა (წარწერით) თავისი
გუშინდელი მონინააღმ-
დეგეებისთვის. ნიგნი
Spy Handler გამოცა კომ-
პანიამ "ბეისიქ ბუქსმა"

(Basic Books). მასში 338 გვერდია
და 26 დილაჩი ღირს.

დაბოლოს, კიდევ ერთი პარა-
დოქსი. ასევე დროის, ჩერკაშინის
ნიგნი რუსეთში არ გამოცემულა,
რადგან მასში მოთხრობილი ამბე-
ბი რუსეთის ახალი ხელმძღვანე-
ლობის მიერ არაა აპრობირებული
და ვიზაგაცემული.

ნახტავ კინოკაპი სკაილი

SUB.U.TEXT



"საფრანგეთიდან ჩამოსული ყოველი მათე ადამიანი სუბუტექსის შემოტანია. საფრანგეთის აფთიაქებში გავრცელებული ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რიგითი მედიკამენტია, რომელიც ექიმის ცნობის გარეშე გაიცემა. სუბუტექსის აბებს არა აქვს სურნელი, ჩვეულებრივ ამანათებში შეუმჩნევლად იფუთება. მისგან მოგება არის ერთი ათასზე - ამას ჩვენ ვერ შევაჩერებთ",- ეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის სიტყვებია, რომელიც 12 მარტს ბრძანა ნარკომანიასთან ბრძოლის მსურველებთან შეხვედრაზე. ასეთი მსურველები უხვად იყვნენ სათათბირო დარბაზში: შოუბიზნისის წარმომადგენლები, მწერლები, სპორტსმენები და ბევრი სხვა.

ნარკომანიასთან ბრძოლის ფორმის ძიება, ისევ იმ ტრივიალური მეთოდებით შემოიფარგლებოდა (ამ ეტაპზე), როგორიც გახლავთ აქციების, კონცერტების მოწყობა, აფიშების დამზადება. ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროირიტეტულ ნაბიჯად მენიშნა საგანმანათლებლო ჩარჩოებში იმ ინფორმაციის მითავსება, რაც ახალგაზრდას ამოწურავ ინფორმაციას მიაწოდებს ნარკოტიკების ხმაურების შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგის შესახებ. ამომწურავს და არა კონკრეტულს, როგორც თამბაქოს კოლოფზე მითითებული და ლამის უკვე სახელმწიფოსთან შეწივებული - მონევა მავენებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის.

"მოცხსნათ ტრაგეზმია...იუმორიც გავფრით" - ასეთი ფრაზაც გაისმა. ყველაზე ხშირად კი მაინც მსოფლიო გამოცდილებას და მაგალითებს იმედილებდნენ. მაგრამ...

როგორც სხვა დანარჩენის მიმართ, საქართველოს ამ მოვლენაზეც თავისებური "ორღობული" მიდგომა და "გაგება" აქვს. ჩვენ ვერც აქ გამოვჩინდამ ახალიფი. არსად არ არის ნარკომანობა ისეთი პრესტიჟული, როგორც აქ, ამ ქვეყანაში. იყო ნარკომანი, ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი ხარ, როგორც ფუფუნების ნივთებით, ასევე მეგობარი გოგონებით. აქვე დავამატებ, რომ საგრძნობლად იმატა ნარკომანი გოგონების რიცხვებიც, უცნაურია, მაგრამ ყმაველიებს ასეთი გოგონებიც მოეწონიათ. ეს არის მოდა, და პირველ რიგში ამის ნინაღმდეგ უნდა გატარდეს იდეოლოგიური რეფორმები. როგორც ფსიქოლოგები იუწყებიან, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ერთნაირი სოციალური ფენის შორის ინფორმაციის გაცელა, - როდესაც ახალგაზრდას მიმართავს ახალგაზრდა, და ეს არ არის დიდატყუარი, დაკვეთილი ამოცანის გატარება. ამ შემთხვევაში აკრძალვის შედეგად გამოწვეულ პროტესტს ავიცილებთ თავიდან.

ანტირეკლამა რომ არ იქცეს რეკლამად, საჭიროა ზუსტი სიტყვების პოვნა. შევთანხმდეთ, რომ ნარკომანები ავადმყოფები არიან, და კიდევ - ისინი არ უნდა დადიოფონ საზოგადოებისაგან, ისე, როგორც ნებისმიერი სუსტი ადამიანის უგულვებელყოფა არის დანაშაული. ნარკოტიკების გამავრცელებლები კი, ისინი ვინც, როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლია მეორემ აღნიშნა - "სისლიან პურს ჭამენ", უნდა გამოვარცხანოთ სასტიკი დამნაშავეებად.

საპატრიარქოში გამართული შეხვედრის განწყობა, რომელიც იმავე 12 მარტს მოეწყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს თათბორის შემდეგ, რადიკალურად განსხვავებული იყო.

"ჩვენი შოულები ილუქებიან" - განაცხადა პატრიარქმა და ამაში არავის შეჰპარვია ეჭვი. დაუსაქმებლობით და გაქცევის ინსტიტუტით რომ არის ნაკარნახევი მასობრივი ნარკომანია, არც ეს უნდა იყოს ახალი ამბავი. და მოუხდევად იმისა, რომ მიეღო მსოფლიოში ებრძვიან გამძვინვარებულ ლტოლვას გაბრუებისაკენ, მაინც ვერ აღმოფხვრეს. როგორც "ბოროტი ენები" ამბობენ ნარკოტიკების გავრცელება თავად სახელმწიფოსთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ასეა თუ ისე, ჩვენ ჩვენი ორიგინალურ-ექსკლუზიური შემთხვევა გვაქვს - არ არსებობს ალტერნატივა - ქვეყანა ვერ ქმნის იმ პირობებს, სადაც ახალგაზრდისთვის ცხოვრება იქნება საინტერესო და რადგან თანდაყოლილი შინაგან, თუ რელიგიური კულტურა ასეთი იშვიათობა აღმოჩნდა (სხვათა შორის, ესეც გაუტარებელი იდეოლოგიის შედეგია), ახალგაზრდა ილუზიაში ყოფნას ირჩევს, მით უმეტეს თუ ნარკომანობა სულაც არ არის ცუდი ტონი, - პირიქით თავის დამკვიდრების საუკეთესო საშუალებაა.

ბოლოს როდის გსმენიათ, შესანიშნავი ბიჭია, კარგი მსმელიო?! ალბათ 50-იანი წლების ქართულ გაუნათებელ კინოში. ალკოჰოლის პროპაგანდას სულაც არ ვწვევი, უბრალოდ, ერთი დეტალია ხაზგასასმელი: სასმელი ყველაზე ხელმისაწვდომია და შესაბამისად არ წარმოადგენს იდემალებით მოცულობის განცდას - ინტერესიც ნაკლებია. ამა არ მინდა ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად იმის ლეგალიზება ვახსენო, რადგან ფაქტია, ჩვენ ისე იოლად ვერ გამოძვრებით, როგორც ეს პოლანდიამ მოახერხა, სადაც ნარკოტიკების ლეგალიზების მოუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა მომხმარებელთა ძალიან პატარა პროცენტს შეადგენს.

მოკლედ დაჰყარა გარდაქმნების აუცილებლობა, მაგრამ საჭიროა იმ ზუსტი ფორმის მოძიება, რითაც ჩვენ თანატოლებს დავაჯვრებთ: მიუხედავად იმისა, რომ "აქ" ცხოვრება ძნელია, "იქ" უარესია, თუნდაც იმიტომ რომ, ვხდებით იოლად სამართავები, ადვილად ვტყუვდებით და ბედნიერები ვართ იმით, რომ საპატარულო პოლიციას თურმე ჭაში ჩავარდნილი მამაკაცი ამოუყვანია... დაკარგული სკულეროზიანი მოხუცი კი სახლში დაუბრუნებია. რეალურად კი, როგორც ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე: ნარკომანიის ბუდე არის ციხე, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთო. უწმინდების კითხვას "რატომ"? ასეთი პასუხი მოჰყვა: ახალ ციხეებს ვაშენებთ და იქ გავაკონტროლებთო.

ასე რომ, დროზე! "გადაადგე"! - ეს ის პირველი მესიჯია, რომელიც სტიკერის ფორმატით უნდა გავრცელდეს ქალაქში კი არა, - ქვეყანაში. ეს უკვე დამზადებულია მხატვრების ჯგუფის - გიორგი სუმბაძისა და ლევან ზუცუბიძის მიერ. მასზე მინიმალისტური ტენდენციით არის გამოსახული შესაბამისი გრაფიკა და იქვე - sub.u. text.

ფრთხილი, სწორი და მრავალჯერადი გზით, ნარკომანიის წინააღმდეგ!!!

ბლის-ტენდარი გაუგებრობებით

მანტანა დავითია


თითქოს საქართველოს აკლდა რყევები და ვნებათაღელვა, თბილისის აეროვაგზლის შენობის ახალი, ბოლო 50 წლის მანძილზე რიგით მესამე, "ტენდერი" რომ არ დამატებოდა; ტენდერი, რომელიც გაუგებრობების, არაკომპეტენტურობის და არაკანონიერების ნიშნაა და რომელიც ბაღებს ეჭვს, რომ ეს ერთ-ერთი უცხოურ ფირმასთან გარიგების დაკანონების მცდელობაა. ამას ამჟამად არც ტენდერის ორგანიზატორები მალავენ, უფრო სწორად, ვერ მალავენ. მათ თორმე ძალიან გაკვირვებით, როდესაც 20-დღიან ბლიც-ტენდერზე, მათ მიერ ლობირებული გერმანული პროექტის გარდა, კიდევ ორი ქართული პროექტი რომ შემოსულა: ერთ-ერთი 20 წლის წინათ შესრულებული - არქიტექტორების გივი და გიორგი თუხარელების, ხოლო მეორე ამ რამდენიმე წლის წინათ ვენეციის ბიენალესათვის შესრულებული, არქიტექტორ გიორგი ბერიძის პროექტი. პრესის, ტელევიზიის, არქიტექტორების, არქიტექტორთა კავშირის, პარლამენტარების მწვავე რეაქციის შემდეგ, თითქოს გარდაუვალი იყო ტენდერის ორგანიზატორებს - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ს.ს. "თბილისის საერთაშორისო აეროპორტის" ხელმძღვანელებს ელიარებისათ შეცდომა და განაცხადებისათ მისი ჩაშლის შესახებ, მაგრამ მათ მანვერი არჩიეს, გააგრძელეს ტენდერის ვადები 20 მარტამდე, რაც ოდნავადაც ვერ ცვლის საქმის ვითარებას. საკითხავია, რა გადაავადეს ამ ტენდერ-დეპუტატი, რომლის მიზანზე ორგანიზატორებსაც კი საერთო აზრი არა აქვთ?! სატენდერო განაცხადში ლაპარაკია "საპროექტო წინადადებაზე" - ე.ი. - პროექტზე. აეროპორტის კომერციული დირექტორი, ბატონი ზ. ხეჩუაშვილი ამბობს: "ჩვენითვის მთავარი იყო იმ კომპანის დანეტრესება, რომელსაც 35 მილიონი დოლარის ჩადება შესაძლებლობა ექნებოდა ამ შენებლობაში". ეკონომიკური განვითარების მინისტრი კი ბრძანებს: "ქართველმა არქიტექტორებმა სატენდერო განცხადება ალექსეს როგორც არქიტექტურული ტენდერი, ეს გახლდათ ტენდერი ბიზნესინადადებაზე" (ორივე ციტატა 2005 წლის, 28 თებერვლის გაზეთ "კვირის პალისტრადან"). გაუგებარია, რამდენად შესაძლებელია ბიზნესინადადებების შეჯერება და რამედ გადამწყვეტილობის მიღება პროექტის გარეშე. აქედანაც ხომ დასტურდება, რომ ორგანიზატორებს პროექტიც და ინვესტორიც უკვე მონიშნული ჰყავდათ. გასაკარია, ასეთი მნიშვნელოვანი საქმის - ყველა ქვეყნისათვის უპირველესი ობიექტის - აეროვაგზლის შენებლობის საკითხის ასეთ არაკანონიერ და პრიმიტიულ ორგანიზაციულ საწყისებზე დაწესება, რომ თბილისის ახალი აეროვაგზლის შენებლობის აუცილებლობაზე დიდი ხანია იცინდ და მისი მოგვარების გზებზე ათენებენ და აღამებენ ამერიკული, გერმანული, თურქული, ბელგიური და სხვა ფირმები, ხოლო

ქართველი არქიტექტორები ამის შესახებ "ბლიც-ტენდერით" იგეგმენ. რამდენად ეთიკურია, რომ არაფერი ვთქვათ კანონიერებაზე, ასეთი საქციელი? სტატიაში "არაკომპეტენტურობის დოლი" - ("საქართველოს რესპუბლიკა", 1. II. 2005წ.) აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ - არქიტექტურაში ყველაფერი იწყება პროექტით, ტენდერი მოიღება გამოცხადდეს მხოლოდ კონკრეტული პროექტის რეალიზაციაზე, თანაც მუშა პროექტის საფუძველზე, სადაც გადამწყვეტილია არა მხოლოდ ქალაქგეგმარებითი, არქიტექტურულ-სივრცული, მხატვრული, ტექნოლოგიური და საინჟინრო მოწყობის საკითხები, არამედ ინტეგრირების მოწყობისა და მოპირკეთების დეტალებიც კი. სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა ძალზე შრომატევადი საქმეა, ითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, ის ხშირად რამდენიმე ათეულ ტომს მოიცავს, სამაგიეროდ დამკვეთმა ერთიშნად იცის, რა შედეგები ექნება და რა დაუჯდება ობიექტი. გამაკვირვა ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბ-ნ ალექსი ალექსიშვილის პოზიცია: "ჩვენ არ გვავინტერესებდა რა ფორმის იქნებოდა აეროვაგზლის შენობა - სამკუთხედი, ოთხკუთხედი თუ მფრინავი თევზის მაგვარი, მთავარი იყო ბიზნესპარტნიორის მოძიება". მეჩვენება, რომ აქ რეგობრობაა არეული, საშუალება მიზანზე წინაა დაყენებული. ჯერ არ დაბადებულ ბავშვს აბრამი დაარქვეს. ძალიან ვეჭვობ, რომ შევძლოთ, ისეთი კეთილი ბიზნეს-პარტნიორი მოვიძიოთ, რომელიც დავეთანხმდებ, შევადგინო სრულყოფილი საპროექტო დავალება, დააფინანსოს კონკალი (იქნებ საერთაშორისო კი) კომპეტენტურ ფიურის შუარჩევნის პროექტი და გამოაცხადოს ტენდერი ამ პროექტის რეალიზაციაზე, ტენდერის თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საერთო საწყისებზე. ასეთი ბიზნეს-პარტნიორი ჯერ არ დაბადებულა. ბიზნეს-პარტნიორებს, უკეთეს შემთხვევაში, აწყობთ თავიანთი პროექტით, მათ ხელთ არსებული ტექნიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური საშუალებებით, ასევე მოთხოვნილი თანხის ანაზღაურების გარანტიით ააგონ შენობები. აწყობს კი ეს იმ მოქალაქებს, რომლებმაც წლებების მანძილზე უნდა იხადონ ეს თანხა? ან რა უპასუხისმგებლობა ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის "ტენდერისათვის" 20-დღიანი ვადის დანესება, ნაიკითხეთ სატენდერო განცხადებები - ქინძინა და ორბახუმის შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერისათვის 1-2 თვეზე ნაკლებს არ იძლევიან. ბიზნეს-პარტნიორის მოძიება კარგი საქმეა, მაგრამ აეროვაგზლის შენებლობა არ არის ხორბლის ან სოიოს შესყიდვა, არც ასფალტის დაცემა, საკითხი ეხება არქიტექტურულ ხარისხს, იდეოლოგიას, დამოუკიდებელი ექვერის დედაქალაქის ჭიჭკარს, ევრის ღირსებას. უამრავი კითხვა იბადება:

რა მეთოდოლოგიით და ვინ დაადგინა, რომ თბილისის აეროვაგზალი უნდა იყოს საათში 2 ათასი მგზავრის გამტარებელი? ვინ არიან სატენდერო კომისიის წევრები, რამდენი არქიტექტორი, არქიტექტორ-ურბანისტა წარმოდგენილი კომისიაში,



"აკომის" პროექტი



გოგა ბერიძის პროექტი



გივი და გიორგი თუხარელების პროექტი

არიან თუ არა თბილისის მერიის, საკრებულოს და საზოგადოების წარმომადგენლები ამ კომისიაში? აეროპორტი ხომ თბილისის ნაწილია.

რა ქალაქგეგმარებითი, მოცულობით-სივრცული მოთხოვნები აქვს თბილისის მერიის ურბანული განვითარების სამსახურს ამ ობიექტისადმი? იქნება თუ არა ძველი და ახალი შენობების არქიტექტურულ-სივრცული სახე მთლიანობაში გააზრებული, თუ ეს მოცულობით დარჩენიან უსახურ ავტონომიებად?

რა უფრო მიზანშეწონილია არქიტექტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით, ამჟამად მოქმედი აეროვაგზლის ძირეული რეკონსტრუქცია-გაფართოება, მისი ახლებური არქიტექტურული გააზრება (ამის დიდი შესაძლებლობა არსებობს), თუ ახალის შენებლობა?

რა აზრი ჰქონდა რამდენიმე წლის წინათ 11 მილიონი დოლარის გაღებას "მოდერნიზაციაზე", თუკი ასე ჩქარა აუცილებელი გახდებოდა ახალი აეროვაგზლის შენებლობა?

ხომ არ ნიშნავს კომპანიის ან ფიზიკური პირის მიერ აღერ შესრულებული სამშენებლო პროექტებზე ინფორმაციის მოთხოვნა იმას, რომ საქართველოს სამშენებლო-საპროექტო ფირმები მექანებზე სააგენტო ვალდებულია ექნებოდეს?

როგორია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია ამ ტენდერთან დაკავშირებით, ხომ არ დაირღვა კანონი ტენდერის შესახებ? სააგენტო ვალდებულია მკაფიოდ და საჯაროდ დააფიქსიროს თავისი პოზიცია. შესაძლოა, მან უკვე გააკეთა სათანადო გან-

ხაროდ, მე არ მაქვს ცნობა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებზე, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სურათი დაახლოებით ანალოგიური იქნება. რალა შორს ნავიდეთ - შეადარეთ "ტენდერზე" წარმოდგენილი სამი პროექტი ერთმანეთს - ქართველი არქიტექტორების პროექტები, მათ შორის 20 წლის წინათ შესრულებული კი, გაცილებით მიზიდველია, ვიდრე გერმანული პროექტი. ამ პროექტმა სახელი ვერ შეჰმატა წარმომდგენ ფირმას, ასეთი პროექტის შემოთავაზება უხერხულიც კი არის დიდი არქიტექტურული ტრადიციების მქონე ქვეყნისათვის. რალაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. არქიტექტურა იყო და დარჩება ერის მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროდ. არაფერი, ჩვენზე დიდი არქიტექტურული და კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა გააუპიროვნა უკონტროლო არქიტექტურულ ექსპანსიამ, თავისუფალმა არქიტექტურულმა ბაზარმა, ჩვენ სიფრთხილე გვმართებს. აი, რა წერია "არქიტექტორთა საერთაშორისო კოდექსში": "...იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომ პასუხისმგებლობა ყოველი ქვეყნის განვითარებისათვის ძირითადდ თვით ამ ქვეყანას ეკისრება, ადგილობრივი პროფესიონალი არქიტექტორები უნდა ფლობდნენ საკუთარი ხალხის საჭიროებათა ინტერპრეტაციის უპირველეს უფლებას. გარემო, რომლის ჩამოყალიბებისათვის მონოდეგულია პროფესიონალი არქიტექტორი, უნდა გამოხატავდეს ერის სულისკვეთებას და მისი კულტურის არსს". (ცხადია, ჩვენ, ისევე როგორც მრავალი ჩვენზე უფრო დიდი და განვითარებული ქვეყანა, ვერ შევძლებთ სპეციფიკური ობიექტების უახლესი ტექნოლოგიის გათვალისწინებით დაპროექტებას და რეალიზაციას, მაგრამ შენობის არქიტექტურული სახის, განწყობილების, ხასიათის, სულისკვეთების ანუ არქიტექტურულ-მხატვრული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში ქართველი არქიტექტორების მონაწილეობა აუცილებელია. ხომ არ ვისურვებდით საქართველოს ჰიმნის, დროშის და გერბის შექმნა უცხოელისათვის დაგვევალბინა. ჩვენ არ ვითხოვთ "უპირველეს უფლებას", ვითხოვთ თანაბარ უფლებას საკუთარ ქვეყანაში მოღვაწეობისათვის.

დასკვნა ასეთია: აეროვაგზლის ახალ შენობაზე უნდა გამოცხადდეს ღია, შესაძლოა, ღია-დაკვეთილი კონკურსი, ზუსტად ისე, უპირველეს ყოვლისა კი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, საკონკურსო ვადები, ასევე პრემიები პრობლემის სირთულეს შეესაბამის უნდა იყოს. კონკურსში გამარჯვებული პროექტის რეალიზაციაზე უნდა გამოცხადდეს ტენდერი. ასეთია აპრობირებული და ერთადერთი კანონიერი გზა. ამ წესით და რიცით აიგო ბოლო 10-15 წლის მანძილზე მსოფლიოს უღამაზესი საერთაშორისო აეროვაგზლები: სტანსტოდი ესექსი და ჩეკ ლამ კოკტი ჰონ კოვში - არქიტექტორი ნორმან ფოსტერი, კანსის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან 40-მდე ახალგაზრდა წარმატებით მოღვაწეობს უცხოურ კონსტრუქციულ ფირმებში.

როგორია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია ამ ტენდერთან დაკავშირებით, ხომ არ დაირღვა კანონი ტენდერის შესახებ? სააგენტო ვალდებულია მკაფიოდ და საჯაროდ დააფიქსიროს თავისი პოზიცია. შესაძლოა, მან უკვე გააკეთა სათანადო გან-

ხაროდ, მე არ მაქვს ცნობა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებზე, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სურათი დაახლოებით ანალოგიური იქნება. რალა შორს ნავიდეთ - შეადარეთ "ტენდერზე" წარმოდგენილი სამი პროექტი ერთმანეთს - ქართველი არქიტექტორების პროექტები, მათ შორის 20 წლის წინათ შესრულებული კი, გაცილებით მიზიდველია, ვიდრე გერმანული პროექტი. ამ პროექტმა სახელი ვერ შეჰმატა წარმომდგენ ფირმას, ასეთი პროექტის შემოთავაზება უხერხულიც კი არის დიდი არქიტექტურული ტრადიციების მქონე ქვეყნისათვის. რალაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. არქიტექტურა იყო და დარჩება ერის მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროდ. არაფერი, ჩვენზე დიდი არქიტექტურული და კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა გააუპიროვნა უკონტროლო არქიტექტურულ ექსპანსიამ, თავისუფალმა არქიტექტურულმა ბაზარმა, ჩვენ სიფრთხილე გვმართებს. აი, რა წერია "არქიტექტორთა საერთაშორისო კოდექსში": "...იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომ პასუხისმგებლობა ყოველი ქვეყნის განვითარებისათვის ძირითადდ თვით ამ ქვეყანას ეკისრება, ადგილობრივი პროფესიონალი არქიტექტორები უნდა ფლობდნენ საკუთარი ხალხის საჭიროებათა ინტერპრეტაციის უპირველეს უფლებას. გარემო, რომლის ჩამოყალიბებისათვის მონოდეგულია პროფესიონალი არქიტექტორი, უნდა გამოხატავდეს ერის სულისკვეთებას და მისი კულტურის არსს". (ცხადია, ჩვენ, ისევე როგორც მრავალი ჩვენზე უფრო დიდი და განვითარებული ქვეყანა, ვერ შევძლებთ სპეციფიკური ობიექტების უახლესი ტექნოლოგიის გათვალისწინებით დაპროექტებას და რეალიზაციას, მაგრამ შენობის არქიტექტურული სახის, განწყობილების, ხასიათის, სულისკვეთების ანუ არქიტექტურულ-მხატვრული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში ქართველი არქიტექტორების მონაწილეობა აუცილებელია. ხომ არ ვისურვებდით საქართველოს ჰიმნის, დროშის და გერბის შექმნა უცხოელისათვის დაგვევალბინა. ჩვენ არ ვითხოვთ "უპირველეს უფლებას", ვითხოვთ თანაბარ უფლებას საკუთარ ქვეყანაში მოღვაწეობისათვის.

დასკვნა ასეთია: აეროვაგზლის ახალ შენობაზე უნდა გამოცხადდეს ღია, შესაძლოა, ღია-დაკვეთილი კონკურსი, ზუსტად ისე, უპირველეს ყოვლისა კი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, საკონკურსო ვადები, ასევე პრემიები პრობლემის სირთულეს შეესაბამის უნდა იყოს. კონკურსში გამარჯვებული პროექტის რეალიზაციაზე უნდა გამოცხადდეს ტენდერი. ასეთია აპრობირებული და ერთადერთი კანონიერი გზა. ამ წესით და რიცით აიგო ბოლო 10-15 წლის მანძილზე მსოფლიოს უღამაზესი საერთაშორისო აეროვაგზლები: სტანსტოდი ესექსი და ჩეკ ლამ კოკტი ჰონ კოვში - არქიტექტორი ნორმან ფოსტერი, კანსის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან 40-მდე ახალგაზრდა წარმატებით მოღვაწეობს უცხოურ კონსტრუქციულ ფირმებში.

როგორია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია ამ ტენდერთან დაკავშირებით, ხომ არ დაირღვა კანონი ტენდერის შესახებ? სააგენტო ვალდებულია მკაფიოდ და საჯაროდ დააფიქსიროს თავისი პოზიცია. შესაძლოა, მან უკვე გააკეთა სათანადო გან-

მომდარლის მუსიკალური გზავნილი

თამარ ივერი დასავლურ მუსიკალურ პრესაში

მადი სარაზრიაკოვა

დღეს ბევრს საუბრობენ დასავლურ განათლებასა და დილომებზე. საქართველოში ეს კვალიფიკაციურობის უპირველეს ნიშნად იქცა, თუმცა, ზოგჯერ პირიქითაც ხდება. ბოლო დროს ნარმატებებს აღწევს ქართველი მომღერალი თამარ ივერი (ჯავახიშვილი). მის შესახებ გამოქვეყნებულ ყველა სტატიასა თუ ინტერვიუში ხაზგასმით საუბრობენ იმ ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელიც სოპრანო საქართველოში მიიღო. "თბილისის კონსერვატორიაში მიღებული ცოდნა განსაკუთრებით დამეხმარა საერთაშორისო ასპარეზზე", - ასე იხსენბა ჟურნალ Orpheus-ში თამარ ივერის ინტერვიუ.

ევროპაში თუ ამერიკაში უამრავი ქართველი მომღერალი მოღვაწეობს. ბევრი მათგანის შესახებ ჩვენამდე ამახივარ არ აღწევს, ზოგიერთს კი იქ მოპოვებული წარმატებების შემდეგ უფრო

ვაფასებთ. მათ შორის წინასწარობის დაცვა ალბათ ყველაზე უკეთ მსოფლიო მუსიკალური პრესისთვის თვალყურის დევნებით შეგვიძლია. ცნობილმა გერმანულმა მუსიკალურმა ჟურნალმა Orpheus ერთ-ერთი უკანასკნელი გამოშვება თამარ ივერის მიუძღვნა. ქართველი სოპრანოს აღიარებას ეჭვგეშ ალბათ უკვე ვეღარავინ დააყენებს.

თამარ ივერს საქართველოში თამარ ჯავახიშვილის სახელით იცნობდნენ. ქართველ მსმენელის ყველაზე უკეთ დაამახსოვრდა 1998 წელს პაატა ბურჭულაძის ინიციატივით გამართული საერთაშორისო საოპერო ფესტივალიდან "ბრაგო". აქ მან დეზუბონას პარტია შეასრულა და ღირსეული პარტნიორობა გაუწია ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან თანამედროვეობის უღედესი ბარიტონი რენატო ბრუზონი და კრისტინა იოჰანსონი. ცოტა ხანში თამარ ჯავახიშვილმა ბუესტოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ვოკალური კონკურსის - "ვერდის ხმების" ჯილ-



თამარ ივერი "ორფეოსის" ყდაზე.

დო მოიპოვა. ამას მოჰყვა ზალცბურგში მოპოვებული მოცარტის კონკურსის პრემია. ასე დაიწყო მომღერლის დასავლური კარიერა: თავდაპირველად გრაციას, შემდეგ კი - ბონის, ბერლინის, ვენის თეატრებში შესრულებული სპექტაკლები. ბოლო დროს ამ ჩამონათვალს "ლა სკალას" იაპონური ტურნე (რიკარდო მუტის ხელმძღვანელობით) და ევანის ფესტივალზე მსტისლავ როსტროპოვიჩთან ერთად გამოსვლაც შეემატა.

მსოფლიო საოპერო ელიტაში დამკვიდრების თვალსაზრისით, უკანასკნელი წელისნადი განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა თამარ ივერის შემოქმედებაში. მისი დებიუტი შედგა ლონდონის კოვენტ გარდენის სცენაზე. აქ მან მოცარტის "დონ ჯოვანი" (დონა ანას პარტია) შეასრულა. ჟურნალმა Opernwelt ქართველ მომღერალს "მანათიბელი ვარსკვლავი" უწოდა. 5 მარტიდან 16 აპრილამდე კი თამარ ივერი მეტროპოლიტ

რუბრი

რუმინეთი დამარცხებულია. თასი ჩვენი!

ეს ყველაფერი ეროვნულ სტადიონზე პირველად მოხდა



ლელოს ავტორები: ირაკლი ლაბაძე და თედო ზიბზიბაძე.



მომენტები: ლელოს ავტორები: ირაკლი ლაბაძე და თედო ზიბზიბაძე.

პაატა თოთაძე ვეროვის პრეტა თასი

საქართველო 2013 რუმინეთი

საქართველო: მაგრაქველიძე (სუ-ჯაშვილი, კოპალიანი), ა. გიორგაძე, ზურაბაშვილი, ზედგინიძე, გორგოძე (დათუნაშვილი), ლაბაძე, მისსუ-რაძე (ურუშაძე), უდესიანი, აბუსე-რიძე, ჯიმშელაძე, მაჩხანელი, ი. გი-ორგაძე (ფირფილაშვილი), ზიბზი-ბაძე, ურჯუკაშვილი, ბარკალაია
2 ლელო - ლაბაძე, ზიბზიბაძე
2 გარდასახვა და 2 საჯარიმო - ჯი-მშელაძე

რუმინეთი: ბალანი, ტინეუ, სოკაჩუ, სოკოლი, პეტრე, მერსიო, ტუდორი, კოროდიანუ, სირნუ, ტოფანი, ტეო-დორესკუ, გონტინეაიკი, მაფტი, სე-უანი, დუმბრავე
1 ლელო - სოკოლი
1 გარდასახვა და 2 საჯარიმო - ტოფანი

ბევრი რამ მოხდა პირველად შაბათს. პირველად დამარცხდა რუმინეთი თბილისში, პირველად დაეუფლა საქართველოს ნაკრები ანთიმოზ ივ-ერიელის თასს, პირველად ეცვით ბორჯღალოსნებს ახალი მაისურები. მოხდომება და თავდადება ქარ-თელ მორაგბეებს არასდროს აკლ-დით, მაგრამ მარტო ამის წყალობით რუმინელებთან ფონს ვერ გავდიო-დით - "სტეფარი" ჩვენს შეცდომებს იყენებდა და შინ თუ გარეთ გვაბარ-ცხებდა. შაბათს პირიქით მოხდა, რუმინეთი მისსავე შეცდომებზე და-ვიჭირეთ და დავაბარცხეთ. გამარჯვებულებს არ ასამართ-ლებენო. ამდენად, ძნელია საუბარი საქართველოს ნაკრების ხარვეზებ-ზე, თუმცა, უთქმელობაც არ ივარგ-ებს. ასე რომ, წერილი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ -

ერთი, სადაც მხოლოდ მატჩის სტე-ნოგრამა იქნება წარმოდგენილი და მეორე, ანალიზით, დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრით. სტუმრები მე-3 წუთზე დანინა-ურდნენ. იტალიელმა არბიტრმა მო-ლის ჩაქცივისთვის დაგვაჯარიმა. ტოფანმა ზუსტად დაარტყა თითქმ-ის 40 მეტრიდან - 0:3. ხუთ წუთში დაახლოებით იგივე მდგომარეობი-დან მიეცა მალხაზ ურჯუკაშვილს ჯარიმის გატანის შანსი, მაგრამ მი-რადე ჯიმშელაძემ აიღო საკუთარ თავზე - 3:3. მე-17 წუთზე რუმინეთ-მა აუტში მოიგო ბურთი, მოლი და-ყენა და ისე შეგვიტია. მაგრამ ურ-ჯუკაშვილმა ააცილა ბურთი მეტო-ქეს. ხუთ წუთში ტოფანმა მეორე ჯარიმა გავტანა - 3:6. ჭიდაობაში დამაჯდა მამუკა მაგრაქველიძე, რომელმაც ცოტა ხნით კი გაავრძე-ლა თამაში, მაგრამ მალე შესაცვლე-ლი გახდა.

ტაიმის ბოლომდე კიდევ მოგე-ცა ჯარიმის ორჯერ დარტყმის სა-შუალება. 37-ე წუთზე უკვე ჯიმშე-ლაძემაც ააცილა, თუმცა, მანვე და-მატებულ დროში მაინც მოახერხა ანგარიშის ხელშეწყობა გათანაბრე-ბა - 6:6. ამათ შორის კი იყო ეპიზო-დი, როცა მსაჯმა ზვიად მისისურაძ-ეს 10 წუთით დაატოვებინა მოედან-ი. ბორჯღალოსნებმა მოლით შეუ-ტყეს, კარის პირდაპირ 20 მეტრამ-დე მოადნოეს და ჯარიმის დარტყმის თუ გათანაბრების უფლება მოიპოვე-ს, მაგრამ მისისურაძე ნაკინკლავდა ერთ-ერთ რუმინელთან და შეაფუ-რთა. მსაჯმა ის მოედნიდან გააძე-ვა. ჯარიმაც დავკარგეთ. სამ წუთში მას კოროდიანუც მიყვა მეტისმეტ-ად უწესო თამაშისთვის.

სანყის წუთები რუმინელთა შე-ტევებში მიილია. ზედიზედ სამჯერ შეგვიტყეს აუტიდან, მაგრამ სამჯერ იგრძნობოდა, ყველა შერკინება და-რვე მოვახერხეთ თავის დაცვა. 52-ე

წუთზე რუმინეთმა მარცხენა ფრთი-დან შეგვიტია. პირველად მეტოქის შეჩერება მაჩხანელმა მოახერხა, მა-გრამ რუმინელებმა გააგრძელეს შე-ტევა. ტოფანს არეკნის დასარტყმე-ლი პოზიცია შეუქმნეს, თუმცა, რუ-მინელ ნახევარმცველს ლაბაძემ და-უფარა, გადავარდნილ ბურთს მოუს-ნრო და ისე ირბინა ლელომდე, წინ არავინ დახვედრია. ჯიმშელაძემ ზუსტად გარდასახა - 13:6.

ამის შემდეგ რუმინელებმა უფ-რო გააძლიერეს დანოლა. 59-ე წუთ-ზე ზიბზიბაძემ ზედ ლელოს ხაზთან მოეხერხეთ. ჯარიმის დარტყმა ამ-ჯერად ჯიმშელაძემ აიღო საკუთარ თავზე - 3:3. მე-17 წუთზე რუმინეთ-მა აუტში მოიგო ბურთი, მოლი და-ყენა და ისე შეგვიტია. მაგრამ ურ-ჯუკაშვილმა ააცილა ბურთი მეტო-ქეს. ხუთ წუთში ტოფანმა მეორე ჯარიმა გავტანა - 3:6. ჭიდაობაში დამაჯდა მამუკა მაგრაქველიძე, რომელმაც ცოტა ხნით კი გაავრძე-ლა თამაში, მაგრამ მალე შესაცვლე-ლი გახდა.

70-ე წუთზე ურჯუკაშვილმა კი-დეც ერთი საჯარიმო ააცილა (50 მე-ტრიდან ურტყამდა). ხუთ წუთში სა-სწრაფდრივად გადავურჩით ლელ-ოს - მაფტიმ აგვიტრა ხაზი. შერე შეტევებში ტოფანი ჩაერთო, ბურთი ლელოში შეიჭურა, მაგრამ იქაც ზი-ბზიბაძემ იყონადა, ხელი შეუშალა მეტოქეს დამინებში. ბოლო წუთზე ტოფანმა მოედნის ცენტრიდან დაა-რტყა ჯარიმა - ააცილა. მსაჯის მი-ერ ნამატებულ დროში რუმინეთმა თავისი ნახევარზე 10-მეტრიან ხაზ-თან აუტში მოიგო, შემოგვიტია, მაგ-რამ გაეანერეთ. ზედხირობაში ზიბ-ზიბაძემ სეულანს აართვა ბურთი და ლელომდე კაცი არ იყო მისი გამჩე-რებელი. ჯიმშელაძემ ამჯერადაც ზუსტად გარდასახა - 20:13.

ესეც სტენოგრამა. ახლა კი იმა-ზე ვისაუბროთ, რა გააკეთა ჩვენა ნაკრებმა და რა - ვერა. დღენიადაგ ჩვენი შერკინების სიძლიერეზე ვსა-უბრობდით, შაბათს კი ყველაფერი პირიქით იყო - რუმინულმა შერკი-ნებამ დაჯაზნა ჩვენი. ეს უპირატე-სობა განსაკუთრებით მტატყტა იგრძნობოდა, ყველა შერკინება და-რვე მოვახერხეთ თავის დაცვა. 52-ე

მდგომარეობა მეტ-ნაკლებად იცე-ლებოდა. საკვირველია, მაგრამ რუ-მინელებმა ერთი მორატეც არ შეე-ცვალეს. 80 წუთი ერთი და იგივე ხა-ლხი იბრძოდა. ფეხით თამაშშიც გვაჯობეს რუმინელებმა. ფეხით თამაში კარგად რომ გამოგვიდო-დეს, ამდენი პრობლემა არ შეგვექმ-ნებოდა. არაერთხელ პირდაპირ ხე-ლში ჩაეუგდეთ ფეხით გადაკიდე-ბული ბურთი და მეტყვის დანყების საშუალება მიეცეით. ვერც აუტში ვაგდებდით კარგად. ბურთობაში ხომ მუდამ პრობლემები გვაქვს. გა-მონაკლისი არც ეს მატჩი იყო. რუ-მინელმა უკანახაზლებმა დაჯაბნ-ეს ჩვენები ბურთობაში. არც შეტე-ვაში ვვარგოდით, თუმცა, ეს ალბათ იმის გამო, რომ ჩაკეტული, კონტრ-შეტევებზე აგებული თამაში ვითა-რებოდა. ის ორი დელიტ რუმინელებ-ის მიერ შეტევებში დამუშავებული შეც-დომების წყალობით გაეიტანეთ, თორემ საკუთარი არაფერი შეგვიტ-მნია. ერთხელაც ვერ შევძელით მა-თი ხაზის გაჭრა, მაშინ როცა რუმინ-ნელებმა მსგავსი რამ სამჯერ მოა-ხერხეს. წინა მატჩებში ჩინებულად ვითამაშობდით დერეფანში. ცუდად არც ახლა გვითამაშია, მარამ ჩვენი ოთხი აუტი ნაგავი, მეტოქისა კი ორი მოვიგეთ. დავცამი კი კარგად ვითამაშეთ. ესეც პირობითია, რა თქმა უნდა, რადგან სამჯერ გავგიჭ-რეს ხაზი, მაგრამ რაკი სამჯერვე მოვახერხეთ მათი დაჭრა, ქულები მაინც ჩვენს ანგარიშზე ინერდა. ისიც სათქმელია, რომ სამჯერ თუ ოთხჯერ ლელოსთან ახლოს მეტო-ქის მოლის გაჩერება შეეძელით. სა-ერთო ჯამში იმის თქმა შეიძლება, რომ, მოვების მიუხედავად, ჩვენს გუნდზე უმღველესი შთაბეჭდილე-ბა არ უნდა შეგვექმნას. ბევრი ხარ-ვეზია გუნდის თამაშში, რომელსაც გამოსწორება უნდა.

ცოტა მსაჯსაც შეეცხთ, რომე-ლიც ისეთ რამეზე გვაჯარიმებდა, სხვა რომ არ იკადრებდა. ერთხელ

რუმინელთა ბლოკი ვერ შეამჩია, ერთხელაც სრულიად უწყინარ მდგომარეობაში წინ თამაში დაგვი-ფიქსირა, მაშინ როცა რუმინელებს ასეთი რამ ორჯერ ახატია. გასაკვირია, მაგრამ ამ ყველაფ-რის შემდეგ რუმინელთა თავკაცო-ბა ნამუხი იყო და ნაგება მსაჯს და-აბრალა. "შპირი იყო მომენტები, როცა მსაჯი ჩვენს შეტევებს აჩერე-ბდა და თქვენს გუნდს ამონევის სა-შუალებას აძლევდა. ამით არავით-არ შემთხვევაში არ გაქინებ საქარ-თელოს ნაკრების დამსახურებას, თუმცა, ფაქტია, რომ მსაჯმა თამა-ში გაგვიფუტა. ჩემი ბრით, ფრე მა-ტჩის ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ დღეს თქვენ გაგიმართლ-ათ", - კატეგორიული იყო მეტოქის ფრანგი ტექნიკური დირექტორი რობერ ანტონენი. ნაკლებად კატე-გორიული იყო სორინ სოკოლი, რუ-მინელთა კაპიტანი: "ფეფირობ, არ ღერს მსაჯობაზე საუბარი, რადგან ის სრულიად ცალკე თემაა. მსაჯი შეცდომის ყოველივეს უშვებს ხან ერთი, ხან მეორე გუნდის სასარგებ-ლოდ".

იმაში, რომ შაბათს გაგვიმართ-ლა, მეტოქეს დავით ჩავლეიშვილიც დაეთანხმა, თუმცა, მარმანდელი ამბავიც შეახსენა, მეტოქე სასწაუ-ლებრივად რომ გადაურჩა ნაგებს. არც იმაში დაეთანხმა, თითქოს თა-მაში მსაჯმა ნააგებია რუმინელ-ებს: "მსაჯმა მართლაც დაუშვა შე-ცდომები, მაგრამ არა ისეთი, რომე-ლსაც შეეძლო მატჩის შედეგზე ემო-ქემედა. ჩვენ ვიცოდით, რას წარმო-ადგენს რუმინეთის ნაკრები და თა-მაში კონტრშეტევებზე ავანყვეთ. ამან გაამართლა. ორივე ლელო კო-ნტრშეტევისას გაეიტანეთ. ვალიარ-ებ, რომ გაგვიმართლა. იმასაც ვა-ღიარებ, რომ ფრე ნამდვილად ლო-გიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ ყოველთვის თქვენ ხომ არ გაგიმარ-თლებდნ? შაბათს თქვენ გაგიმარ-თათ, წლეულს - ჩვენ".



მორცხვი ფეხბურთელი

ფეხბურთელების სითამამე, განსაკუთრებით ქალეობან ურთიერ-თობაში, საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ გამონაკლისებიც ხომ არსე-ბობენ? სწორედ ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგითხროთ. ცოტა შორიდან დავიწყებ. "Daily Mirror"-თან საუბრისას ბრიტანული ჯგუფის "Girls Aloud"-ის სოლისტმა სარა პარდინგმა განაცხადა, რომ იდეალური პარტნიო-რი ვერა და ვერ იპოვა: "არც მისი ფინანსური შესაძლებლობები მაინ-ტერესებს და არც მისი სოციალური მდგომარეობა. ჩემთვის მთავა-რია, რომ იგი კარგი ადამიანი იყოს, აუცილებლად გულწრფელი და პატიოსანი. გარდა ამისა, ლამაზი თვალები და მომხიბლავი ღიმილიც ჰქონდეს". თურმე ნუ იტყვით და, ეს განცხადება "ლივერპულის" ფეხბურთე-ლმა რისიკმ მოისმინა თუ წაიკითხა - ზუსტად არ ვიცი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ სარას მიერ აღწერილ იდეალურ მამაკაცში საკუთარი თავი ამოიცნო და... ქალები კი ბუზებივით ეხვევიან. თავად ეჭვობს, რომ ეს ყურადლე-ბა მისი დიდებისა და ფულის გამოა. ჰოდა, ასეთი გულწრფელი გან-ცხადება პირდაპირ მისწრება იყო მისთვის. მოკლედ, სასურველი ქალი აღმოაჩინა, მაგრამ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი: ჩვენი ფეხბურთელი ძალიან მორცხვი ვინმე ყოფილა. ვე-რაფრით ვერ მოიკრიბა მხნეობა იმისთვის, რომ ტრფივალის ობიექტს სიყვარულში გამოუტყდეს. "იონ-არნე გასულ წელს დამორდა ცოლს. ახლა მარტოსულად გრძნობს თავს. პარდინგის სიტყვებმა კი პირდაპირ გული აუჭროლა. რისის მისი გაცნობა, სადმე დაპატიჟება, დროის გატარება უნდა. თუმცა, ის არც ისეთი თავხედი, როგორც ფეხბურთელთა უმრავლე-სობა. პირველი ნაბიჯის გადადგმა ძალიან უჭირს. არადა, ისიც ესმის, რომ შეიძლება ვინმემ დაასწროს," - განაცხადა ფეხბურთელის ერთ-ერთმა მეგობარმა. გაცილებით, რა ეშველება ორ ცეცხლს შუა დამდგარ რისის: თა-ვხედობასაც რომ ვერ კადრულობს, თან ქალის დაკარგვის შიშიც რომ ტანჯავს?

გადამალუმა

კრიში მსოფლიო ჩემპიონმა სამ წონით კატეგორიაში შეინ მოსლე-იმ კარგა ლაზათიანდ დაარტყა მუშტი ყმაში პოპულარულ მსახიობ-სა და ტელენამყვანს ტომი არნოლდს (დარტყამაცა და დარტყამაც! მოკრივის მუშტის ემუხრებით?). თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა. საქმე ის გახლდათ, რომელიც ტელეარხ "Fox TV"-ის ერთ-ერთი სპორტული ტოქშოუს წამყვანია, მოსლი სტუმრად მიი-წვია და ტელეკამერების წინ სპარინგის გამართვა შესთავაზა. მოკრივე დათანხმა (შეგნებდებოდა თუ რა?), თუმცა, ეტყობა, უცებ თავისი მუშტის სიძლიერე ვერ გათვალა, ან ტომი არნოლდი ჩა-თვალა თანასწორ მონინააღმდეგედ. ასე იყო თუ ისე, დაარტყა, მაგრა-მ რა დარტყა! კინაღამ ნოკაუტში ჩააგდო. საბედნიეროდ, მონინააღმდეგემ სული მოითქვა. "ახლა დარწმუნებული ვარ, რომ "Fox TV"-ის უფროსები ჩემს მო-შორებას შეეცდებიან. თუმცა, მათ ჩემი გათავისუფლება კი არა, მო-კვლა უნდათ", - იხუმრა ცნობილმა ტელენამყვანმა (კიდევ კარგი, ზუ-მრობის თავი მაინც ჰქონდა). ახლა მოსლისაც მიუხერხნდით. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოკრივე გახლავთ, არასოდეს გახვე-ულა სკანდალში, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ შეთხვევას, როცა სპორტსმენმა თავის მწვერვალთან მუშობა აღარ მოიურგა. მწვერვალზე, არც მეტი, არც ნაკლები, მისი მშობელი მამა იყო. დეკ მოსლიმ შვილის წერთნა მამინ დაიწყო, როცა ამ უკანასკნელს რვა წელი შეუსრულდა. მას შემდეგ მამა-შვილი სულ ერთად იყო, თუ-მცა, ერთხელ მოსლი უმცროსმა გადაწყვიტა, რომ უკვე გაიზარდა. ეს იყო და ეს. არნოლდთან დაკავშირებული ინციდენტი კი არ ყოფილა მოკრივე-ის პრაღი. ცნობილმა ტელენამყვანმა დარტყმა სთხოვა და უარს ხომ არ ეტყოდა?

ჯერ ნააგეს. მერე მოილხინეს

ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელებმა ვენუს და სერენა უილი-ამსებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს დუბაიში გამართულ მაღალი დო-ნის ტურნირზე - ცოტა არ იყოს, ადრე გამოითიშნენ მას. თუმცა, დღეს დასცდილმა ფიასკომ ოდნავაც არ დასწყვიტა გული. რა ჯობია, დამაბული გრაფიკისგან გათავისუფლებული, საფუძე-ლიან დასვენებას რომ მოიწიოთ. მოკლედ, მათაც ადგილობრივ აკვაპარკს მიაშურეს და თავიანთი თამაში ჩაცმულობითა და ქვეით ბევრი სხვა იქ მყოფი, განსაკუთრე-ბით, კი ტურისტებით ააშეს. მოკლედ, ისე მოილხინეს... ეს ახსოვდა მარცხი. მხოლოდ ეს იყო, სერენამ ერთ-ერთ რეპორტიორთან დაინუნუნა, დუბაიში განცდილი მარცხი მონინააღმდეგეთა მხრიდან განხორციე-ლებული ხისტი დარტყმები შედეგი იყო.

ბექშემებისა და ელტონ ჯონის ფინანსური ალიანსი

ვერა და ვერ ავცილდ დევიდსა და ვიქტორიაზე საუბარს. რატომ? იმიტომ, რომ საინტერესოა ეს წყვილი თავისი არაორდინარული გა-დაწყვეტილებებით. ჰოდა, მეც სხვა რა საქმე მაქვს, თუ არა ის, რომ ცნობილი წყვილის საქმეები თქვენამდე მოვიტანო. მოკლედ, ასე. დევიდმა და ვიქტორიამ საკმაოდ მოზრდილი სახლის (მარტო ცხრა საძინებელია) შეძნა გადაწყვეტეს სამხრეთ აფრიკაში. მერე რა არის ამაში განსაკუთრებულიო, - მკითხავთ. რა არის და ის, რომ ბექშემების სახლს ცნობილ მომღერალ ელტონ ჯონთან ერთ-ად ყიდულობენ, ანუ ისინი სრულყოფილიანი მფლობელები ვერ იქნე-ბიან და დასვენების დღეებსაც (სახლს სწორედ რომ მოსასვენებლის ფუნქცია ექნება) სერ ელტონთან ერთად გაატარებენ. ამბობენ, ბექშემებსა და ცნობილ მომღერალს ერთმანეთთან დი-დი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ალბათ, ამიღომაც გადაწყვეტენ წყვილმა შვილების ნათლიად მისი კანდიდატურა და 2004 წლის დეკე-მბერში მას ხუთი წლის ბრუკლინი და ორი წლის რომეო მონათლიანა. მოგესხნებათ, ბექშემებს ახლახან მესამე შვილი გაუჩნდათ. სავა-რუდოდ, მის მონათლასაც სერ ელტონს მიანდობენ. ხომ გაგიკვირ, სადაც ორი, იქაც მესამეო.

დაქორწინდნენ. არ დაქორწინებულან...

თურმე ნუ იტყვით და, ენრიკე იგლესიასი და ანა კურნიკოვა სულ-აც არ ყოფილან დაქორწინებულები. არადა, რამდენს სერდნენ მათ ქო-რნალზე! იმასაც კი ამბობდნენ, რუსი ჩოგბურთელი ორსულადაო. მაგრამ ერთხელაც ყელში ამოუვიდა ესახნელ პოპ-მომღერალს ამდენი ტყუილი და მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: "ამ-ჟამამდ დაქორწინებული არ ვარ. ანა შესანიშნავი გოგონაა. მას კარგ-ად ესმის ჩემი. რაც მთავარია, ჩემი ატანაც შეუძლია, რაც, სხვათა შო-რის, არც ისე იოლია. თუმცა, დღესდღეობით, არ ვფიქრობ, რომ ქო-რნებისთვის მზად ვარ. ასე რომ, ამაზე საუბარიც კი ზედმეტია". ცოტა არ იყოს, მათი ამავეი დახლართული და გაუგებარია. თუ მა-რთლაც დაქორწინდნენ, ამის უარყოფას რა აზრი აქვს? თუ არა, მაშ-ინ გამოდის, რომ ეს ავიოტავი მოლიანად ჟურნალისტების ფანტაზი-ის ნაყოფია. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის დეკემბერში ამერიკულ მასობრივ საინფორმაციო წყაროებში გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კურნიკოვა მალულად ცოლად გაჰყვა იგლესიასს. ზოგიერთმა ჟურ-ნალისტმა ჩოგბურთელის არაითიზე ქორწინების ბეჭედიც კი შეამჩ-ნია. მედიის წარმომადგენლებს, პუბლიკისა, გულმა ველარ მოუთმინ-ა, ენრიკესთან ურთიერთობის შესახებ რომ არ ეკითხათ. პასუხმაც არ დააყოვნა: "ენრიკე შეუდარებელია. ყველაფერი არაჩვეულებრი-ვადაა. ჩვენ დაქორწინებულები ვართ". ჟურნალ "US Weekly"-ის ცნობით, წყვილი მექსიკაში შეუღლდა. მაშინ კურნიკოვასა და იგლესიასის წარმომადგენლებმა კომენტარი-სგან თავი შეიკავეს. ახლა კი კომენტარი თავად იგლესიასმა გააკეთა. ვთქვით, მართლაც არ დაქორწინებულან. მაშინ რისთვის დასჭირ-და კურნიკოვას საქორწინო მეჭყის წამოცმა. მოკლედ, გერაფერი ვერ გავიგე. თქვენ?

"მოსკოვის იმპერატორმა... ჩვენი სამეფო ჩამოგვართვა"

(სოლომონ მეორის წერილი ნაპოლეონისადმი)

ერაკლე გვლიჩიძე
დირიჟირი გვლიჩიძე

XIX საუკუნე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ტრაგიკულად დაიწყო. 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, თან საერთაშორისო პოლიტიკურ ელიტას საქმე ისე წარმოუდგინა, თითქოს ეს აქტი ქართველი ხალხის თხოვნით განხორციელდა. პეტერბურგში მყოფი ქართველი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე თავის ახლობლებს სწერდა: "ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმეს, ქვეშევრდომებადაც კი არ მიგვიღეს. არავინა ისე დამცირებული, როგორც ქართველი ხალხი."

იგივე ბედი ელოდა მეორე ქართულ სახელმწიფოს - იმერეთსაც. "რუსეთის ხელმწიფე ყველგან სპობს მცირე ხალხების სამეფოებს და თვითონვე ითვისებს მათ, - მიმართავდა ცნობილი დიპლომატი სოლომონ ლიონიძე რუს სამხედრო მოხელეს ლიტვინოვს, - ისე როგორც ეს ჩაიდინა მან პოლონეთში, ყირიმში და ქართლ-კახეთში. ამას უნდა მოველოდეთ მისგან იმერეთშიც." ეს სიტყვებიც კარგად მიგვანიშნებს, თუ როგორ ერკვეოდნენ იმუხმინდელი ქართველი მოღვაწეები რუსული პოლიტიკის ნამდვილ ბუნებაში. ისინი გამოსავალს ეძებდნენ, რომელიც იმუხმად ფაქტობრივად არ არსებობდა. მაგრამ მაინც ეძებდნენ. 1810 წელს რუსეთმა იმერეთის სამეფოც გააუქმა და დაიპყრო. იმერეთის სამეფოს მესვეურებმა ბედი სცადეს და გამოინდელი ევროპის უძლიერეს სახელმწიფოს, საფრანგეთს მიმართეს დახმარების თხოვნით. მეფე სოლომონ მეორემ წერილი გაუგზავნა საფრანგეთის ძღვეამოსილ იმპერატორს, ნაპოლეონს. ამ წერილის სრული ინგლისური თარგმანი დევიდ ლანგმა გამაჟექცენა, ხოლო ფრანგული თარგმანი კი შოთა ხან-თაძემ და გივი ჟორდანიამ შეიტანეს და გამოაქვეყნეს თედო ჟორდანიას ცნობილი "ქრონიკების" მესამე ნიშნში. ამავე "ქრონიკებში" გადმოცემულია ფრანგული ტექსტის მოკლე შინაარსი ქართულად.

საწმუხაროდ, რატომღაც ამ საინტერესო ისტორიული დოკუმენტის სრული ქართული თარგმანი დღემდე არ არსებობს. ამჯერად გათავაზობთ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ნაპოლეონ პირველისადმი გაგზავნილი წერილის ფრანგული ტექსტის სრულ ქართულ ვარიანტს (წერილი ფრანგულადან ქართულად, ჩვენი თხოვნით თარგმნა ქალბატონმა ნინო ჯავახიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

"მის იმპერატორობით უდიდებულესობას, მეტად მაღალ, დიდ, უძლიერეს მონარქსა და დიდი რომის იმპერატორს, ფრანგთა კეისარს, მთელი დასავლეთის მმართველსა და დიდად მონყალე იმპერატორს ნაპოლეონს. უფლის შემდგომ დიდად მონყალე, დიდებულ იმპერატორს, მეფეთა მეფეს.

მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის ერისულოვანი სურვილით საფრანგეთის იმპერატორის გვირგვინი დაიდგით, ჩვენ შევეცადეთ, რამდენიმე მოკრძალებული თხოვნით მოგვემართა.

გვსურს მოვახსენით თქვენს უდიდებულესობას, როგორც საქ-

რისტიანოს უმაღლეს მეთაურს, რომ მოსკოვის იმპერატორმა უსამართლოდ და კანონის დარღვევით ჩვენი სამეფო ჩამოგვართვა. ამ იმპერატორს ამგვარი მოქმედების არავითარი უფლება არ გააჩნდა; ხოლო რაც შეგვეხება ჩვენ, წინააღმდეგობის განევის არავითარი საშუალება არ გვქონდა. არც იარაღით ხელში ამოახრებელთა წინააღმდეგ და არც კანონის ძალით არ შეგვეძლო უზუზუპატორისაგან დაგვეცვა სამეფო და ამ ორმხრივმა უძლურებამ შეიძლება ახსნას ჩვენი უმოქმედობა. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას მოგმართოთ და შევაცხოზინოთ მოსკოვის იმპერატორის მიერ ჩადენილი დაუწოდოელი მიტაცების აქტი. ღვთის წყალობით, თქვენი იმპერატორობით უმაღლესობის ხელში თავმოყრილი ძალაუფლება, სიძლიერე და დედამინის ყველა სიუზენრუტე მმართველობა, რაც შემოქმედმა მხოლოდ თქვენ მოგვანიჭათ, რათა მთელს მსოფლიოში აღადგინოთ წესრიგი, იმ სამართლიანობით და ძალით, რომელიც თვით უფალმა გარგუნათ. თქვენ ხართ ამდენი სიუზენრუტის უმაღლესი მმართველი, ნუთუ შესაძლებელია, რომ ჩვენი თხოვნა თქვენმა კანონიერმა მმართველობამ არ შეიწყნაროს? როგორც მზისქვეშეთში მყოფი ერთ-ერთი მმართველი, ჩვენ მხოლოდ თქვენს უდიდებულესობას ვცნობთ - როგორც მსოფლიო მომრიგებელს, რომელიც ყოველ ღონეს მიმართავს, რათა დააყმაყოფილოს სუსტის ყველა სათხოვარი და დაიცავს იგი ძლიერისაგან.

ამ მომართვით მორჩილად მუხლს ვიდრეც დიდებულო და ძლიერი იმპერატორი და შეუდარებელი მმართველი, თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე. გისურვებთ დღითი დღე, საათობით გაიზარდოს თქვენი ბედნიერება და ღირსება! და რომ თქვენს დიდებულ ტიტულატურას აზიის იმპერატორობაც შეემატოს! რომ გამანათავისუფლოთ, მილიონ სულ ქრისტიანთან ერთად, მოსკოვის იმპერატორის უმონყალო უღლისაგან. თქვენი მაღალი შუამდგომლობით და ყოვლისშემძლე ძლიერი მკლავით მიმიღეთ თქვენი მფარველობის ქვეშ! მიიღეთ ჩემი დაუსრულებელი ლოცვა და ღრმა პატივისცემა, მონყალეო და დიდესულოვანი იმპერატორო."

საკუთარი სამეფოდან გაძევებულმა სოლომონ მეორემ სტამბოლში ელჩად გაგზავნა სარდალთა ქაიხოსრო წერეთელი, რომელმაც თან წაიღო ნაპოლეონისადმი განკუთვნილი წერილი. სტამბოლში წერილი ქართველმა ხუცესმა თურქულად თარგმნა, ხოლო თურქულადან ფრანგულად იგი უთარგმნია საფრანგეთის საელჩოს მრჩეველს და ყოფილ საქმეთა რწმუნებულს რიუფენს. წერილი ასეა დასაბუთებული: "თარგმანი თურქული ვერსიის მიხედვით წერილისა, ქართულ ენაზე მინერილისა, მისი უდიდებულესობის იმპერატორისადმი, პრინც სოლომონის მიერ, რომელიც ხელს აწერს ვითარცა მეფე იმერეთისა" (იხ: თედო ჟორდანიას - "ქრონიკები". ნიგნი მესამე. გამოცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ., 1967).



სოლომონ მეფის წერილის ფრანგული მინანური ქართულად ასე გამოიყურება: "თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ღირსება მსახური: იმერეთისა და მისი შემოგარენის მეფე. დანერვილია 1811 წლის 6 იანვარს. ბეჭედს აწერს: იმერეთის მეფე სოლომონ. თურქული ვერსიის მიხედვით თარგმნილია ჩემს მიერ, რომელიც გახლავართ ფრანგთა იმპერატორისა და იტალიის მეფის, მისი უდიდებულესობის ყოფილი საქმეთა მმართველი და საელჩოს მრჩეველი ოტომანთა კარზე, პერა კონსტანტინე-პოლი. 1811 წლის 28 ივნისი. ხელმოწერა: რიუფენი." ახლა რაც შეეხება რამდენიმე კომენტარს, ქართულ-ფრანგული ურთიერთობების

ისტორიის ამ საინტერესო ეპიზოდის შესახებ. ცნობილი არ არის, გამოუგზავნა თუ არა საფრანგეთის იმპერატორმა სოლომონ მეორეს საპასუხო წერილი. ნაკლებად საფიქრებელია. წერილიდან ჩანს, რომ სოლომონს მანამდეც რამდენიმე მიუმართავს ნაპოლეონისათვის, მაგრამ პასუხი არ მიუღია. გავიხსენოთ, რომ ზემოთყვანილ წერილში იმერთა მეფე შეფარული წყენით მიმართავს იმპერატორს: ნუთუ შესაძლებელია, რომ ჩვენი თხოვნა თქვენმა კანონიერმა მმართველობამ არ შეიწყნაროს? არც 1811 წლის შემდგომ არის საფიქრებელი, რომ საფრანგეთის იმპერატორი იმერეთის ტახტდაკარგულ მეფეს ან დახმარებას აღუთქ-

ვამდა ან წერილს გამოუგზავნიდა. საამისო შესაძლებლობას მაშინდელი საერთაშორისო ვითარება არ იძლეოდა. რა თქმა უნდა, რუსეთის წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისში მყოფი ნაპოლეონი თითქოს დაინტერესებული უნდა ყოფილიყო სოლომონის ანტირუსული ბრძოლითაც. მაგრამ იმხანად იმერეთი ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნად განიხილებოდა დიდ პოლიტიკაში და საფრანგეთის იმპერატორი ხონტერის განაწყენებას, ცხადია, მოერიდებოდა.

1811 წლისათვის მიმდინარეობდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ცნობილი ომები. ორივე მუსლიმური სახელმწიფო კი სწორედ სამხრეთ კავკასიისა და საქარ-

თველოსათვის ებრძოდნენ რუსეთს. ჯერ კიდევ 1807 წლის ფინკენშტაინის ხელშეკრულებით საფრანგეთი აღმოსავლეთ საქართველოს ირანის გავლენის სფეროდ აღიარებდა. იმერეთის სამეფოს საკითხიც საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის ქრილში განიხილებოდა. ერთ პერიოდში, 1807 წლის ტილზიტის ზავის შემდეგ ნაპოლეონმა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს, ოსმალეთის იმპერატორის გადანაწილება კი შესთავაზა, მაგრამ მოლაპარაკებები ამ მიმართულებით უშედეგოდ დასრულდა. საბოლოოდ საფრანგეთ-ოსმალეთის ურთიერთობები მოწესრიგდა. ფრანგები ოსმალეთში გააქტიურდნენ. სტამბოლში საფრანგეთის წარმომადგენელს გენერალ სებასტიანს ნაპოლეონისაგან დავალებული ჰქონდა, რაც შეიძლება დაემაბა ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც სელიმ მეესამემ რუსეთისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დახურა და რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, ოსმალეთის ფარული თუ აშკარა მხარდამჭერი საფრანგეთი ოსმალეთის "სამინაო" საქმეში აღარ ჩაერეოდა, არ ცნობდა იმერეთის მეფეს სუვერენად, არ დაეხმარებოდა და არც წერილით უპასუხებდა სოლომონ მეორეს.

იმერეთის მეფის ნაპოლეონისადმი გაგზავნილი წერილი რამდენიმე მოსაზრების აღნიშვნის საშუალებას გვაძლევს. 1. როგორც ჩანს, სოლომონ მეორე, XIX საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთში განვითარებული მოვლენების შესახებ მეტ-ნაკლებად ფლობდა ინფორმაციას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სოლომონს მხოლოდ 1811 წელს არ გაუგზავნია წერილი საფრანგეთის იმპერატორისთვის, როცა ეს უკანასკნელი მთელი ევროპის ბატონ-პატრონი გახლდათ. აქამდე მან რამდენჯერმე სცადა დაკავშირებოდა ნაპოლეონს. პირველი წერილი სოლომონ მეორეს, შესაძლოა, ჯერ მაშინ გაეგზავნა, სანამ ნაპოლეონი დიდ ევროპულ დაპყრობებს დაიწყებდა. კერძოდ, ეს უნდა მომხდარიყო 1804 წლის ახლი ხანებში. სოლომონი ჩვენს ნაპოლეონს: მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის ერისულოვანი რატორი საფრანგეთის საიმპერატორო გვირგვინი დაიდგით, ჩვენ შევეცადეთ, რამდენიმე მოკრძალებული თხოვნით მოგვემართაო.

არა მარტო ევროპელ მონარქებს, ფრანგულ არისტოკრატებსაც სძულდა უგვარო კორსიკელი მმართველი. ნაპოლეონს სურდა, თავად შეექმნა ახალი მემკვიდრეობითი დინასტია, ძირძველი მონარქების თანასწორი გამხდარიყო. 1804 წლის მაისის დასაწყისში რესპუბლიკის ტრიბუნატმა ნაშთი ნაპოლეონის გაიმპერატორეზისა და მემკვიდრეობითი ძალაუფლების გამოცხადების წინადადება. 1804 წლის 18 მაისს "რესპუბლიკის დიდებისა და კეთილდღეობის" სახელით სენატმა ნაპოლეონი "ფრანგების იმპერატორად გამოაცხადა". იმავე წლის 2 დეკემბერს შედგა სადღესასწაულო კორონაცია, რომელზეც იმპერატორი თავად რომის პაპმა აკურთხა პარიზში. იცის, იქნებ სოლომონ მეორე ერთ-ერთი ძირძველი ქრისტიანული სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, ცდილობდა ესიაომეზები-

ნა ნაპოლეონისათვის და ხაზს უსვამდა მისი იმპერატორობის ლეგიტიმურობას. მამ, რატომ უნდა დასაჭირებოდა იმერეთის უკანასკნელ მონარქს ან "რესპუბლიკის" მოხსენიება ან "რესპუბლიკის ერთსულოვანი სურვილის" გახსენება?

2. ნაპოლეონისადმი წერილის გაგზავნის დროს სოლომონ მეორე ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. 1810 წლის 18 დეკემბერს იმერეთის მმართველი გენერალი სიმონოვიჩი მთავარსადიდ ტორმასოვს სწერდა: "სოლომონ მეფე ერევანში გვეგონა ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ ის არტაანში აღმოჩნდა, იქიდან ევროპაში კაცები გაუგზავნა და ნაპოლეონს და სულთანს დახმარებას სთხოვს". რუსეთის მაშინდელი აგენტურაც შთამბეჭდავად მუშაობდა. ასეა თუ ისე, ოსმალეთში შეიზნული სოლომონი მაქსიმალურად ცდილობდა, დახმარება ხონტერისაგან კი არა, ერთმონი მუნე საფრანგეთისაგან მიეღო. ქრისტიანული საფრანგეთი ქართველ მეფეს ერთადერთ სასურველ იმედად ეხსენებოდა. წერდა კიდეც: "ჩვენ მხოლოდ თქვენს უდიდებულესობას ვცნობთ".

3. მეტიც, სოლომონ მეორე არა მარტო დახმარებას, არამედ მფარველობას სთხოვს საფრანგეთის იმპერატორს. მისი ყველაზე დიდი სურვილია, იმერეთის სამეფო ძლიერი ქრისტიანული საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იხილოს: - "მიიღეთ თქვენი მფარველობის ქვეშ", - წერს იმერეთის მეფე.

4. იმუხმინდელ იმერს და ამირს საქართველოში დაახლოებით 780 000 სულ მოსახლეობას ანგარიშობენ. სოლომონ მეორე წერს, რომ ვთხოვთ გამანათავისუფლოთ მოსკოვის უმონყალო უღლისაგან მილიონ სულ ქრისტიანთან ერთად. ჩანს იმერთა მეფე, როცა საფრანგეთის იმპერატორს ან დახმარებას სთხოვდა, ან მფარველობას თუ განთავისუფლებას, მხოლოდ საკუთარ სამეფოს არ გულისხმობდა ან თუნდც დასავლეთ საქართველოს - სოლომონ მეორე მთელი საქართველოს განთავისუფლებას გულისხმობდა, დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც.

საწმუხაროდ, საერთაშორისო ვითარება სოლომონ მეორის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, იმერეთის უკანასკნელი მეფის წერილი ნაპოლეონისადმი, საინტერესო ისტორიული დოკუმენტია, რომელიც კიდევ ერთხელ მჭევრმეტყველურად ადასტურებს ქართველი ხალხის დასავლურ სამყაროსთან კავშირ-ურთიერთობის აღდგენისაკენ მისწრაფების დიდ ტრადიციას. 1812 წლის შემოდგომაზე რუსეთის უზარმაზარ ყინულოვან სივრცეზე დაიმსხვრა და დამარცხდა საფრანგეთის დიდი არმია, რომელსაც მალე მოჰყვა ნაპოლეონის იმპერიის აღსასრული და იმერეთის მეფის სოლომონ მეორის იმედების დასაშლარება. ტახტდაკარგული სოლომონი, როგორც ცნობილია, ტრაპიზონში გარდაიცვალა 1815 წელს, ხოლო მისი საფლავის ქვის წარწერა იუნეყობდა: "განმეძარცვა მე პირველ-ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ მოქველ და კდებული ამას შინა, ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, მე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ".

თავიარკველიდან "24 საათი" ინგლისურად.

English newspaper 24 Hours, coming out from February

გაიშვარიით.

on subscription basis

e-mail: public@24hours.ge

Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



[illegible]

